



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

(ქ. ოზურგეთი კოსტავას ქ. №1 ტელ. 27-45-25)

9 თებერვალი 2012 წელი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №37

**ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საჯარო მოსამსახურეთა
პრემიების შესახებ**

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 43-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 37-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 9 დეკემბრის „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2012 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ №49 დადგენილების შესაბამისად:

ე ბ რ ძ ა ნ ე ბ

მუხლი 1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მუშაობის შედეგებში შეტანილი თითოეული საჯარო მოსამსახურის პირადი წვლილისა და საპასუხისმგებლო ფუნქციური დატვირთვის გათვალისწინებით მიეცეთ პრემია ერთი თვის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით, საკრებულოს შემდეგ საჯარო მოსამსახურეებს:

1. თეიმურაზ მოქიას – ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა – უმრავლესობის“ – თავმჯდომარეს;
2. ხვიჩა კილაძეს – ფრაქცია „მაჟორიტარის“ თავმჯდომარეს;
3. პეტრე სალუქვაძეს – სანამდატო-საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს;
4. ირინე საჯაიას – განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს;
5. ვალერიან გირკელიძეს – სოფლის მეურნეობის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის კომისიის თავმჯდომარეს;

მუხლი 2. ბრძანება გადაეგზავნოს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს.

მუხლი 3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში (მის: ი.სიორიძის ქ. №14)

მუხლი 4. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე:

ალეკო მამეშვილი